

საქართველოს კანონი

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1999 წელი 41(48)) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. კოდექსის 364-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისათვის ხელის შეშლის მიზნით პროკურორის ან გამომძიებლის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

2. სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით სასამართლოს საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უხეში ჩარევა, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.“

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით – ერთიდან სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

4. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.